საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 7 თებერვლის
დადგენილება № 394

დოქტორის აკადემიური ხარისხის
მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს
დებულებაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში 6.13. და 6.14. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.13. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით, სემესტრის დაწყებამდე, შეიძლება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა, ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება. სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება დასაშვებია მეორე სემინარის ჩატარების შემდეგაც, სემინარის შემფასებელი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე;

6.14. სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან კორექტირების გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, სადისერტაციო საბჭოს ოქმთან ერთად, წარედგინება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს, რომელიც, არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების გამოცემას.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე